უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში

2011 წლის იანვარი-2012 წლის ოქტომბერი

შედგენილია უფლებადამცველთა სამხრეთ
კავკასიური ქსელის წევრების მიერ:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი და
ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)

უფლებადამცველთა სამხრეთ კავკასიური ქსელის ქვემოთ ჩამოთვლილმა წევრებმა და
პარტნიორებმა წვლილი შეიტანეს და დახმარება გაუწიეს ავტორებს ანგარიშის მომზადებაში:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის
უფლებებისათვის, მრავალეროვანი საქართველო (PMMG), საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

თბილისი, 2012 წლის ოქტომბერი

უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში
2011 წლის იანვარი - 2012 წლის ოქტომბერი

ავტორი და რედაქტორი:

ელიზაბეტ სამერსი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი
ტობიას აკერლუნდი, ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)

აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს უფლებადამცველთა სამხრეთ კავკასიური ქსელის საერთო ანგარიშის ნაწილს, რომელიც მიმოიხილავს უფლებადამცველთა მდგომარეობას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. საერთო ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება უფლებადამცველთა სამხრეთ კავკასიური ქსელის ვებგვერდზე www.caucasusnetwork.org

„უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი“ აერთიანებს 30 უფლებადამცველ ორგანიზაციას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ქსელის მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის უსაფრთხო და ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნას და სამოქალაქო საზოგადოების როლის ამაღლებას რეგიონში და საერთაშორისო დონეზე. ქსელი შეიქმნა *ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის* (EIDHR) დახმარებით.

HUMAN RIGHTS HOUSE FOUNDATION

ადამიანის უფლებათა სახლის ფონდმა ჩვლილი შეიტანა ანგარიშის დასრულებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში

TRANSITION
Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic

Hüquq Maarifçiliyi Cəmiyyəti
HMC
Legal Education Society

NORWEGIAN MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS

ანგარიში გამოქვეყნდა ჩეხეთისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროების დახმარებით და პროექტის „სამხრეთ კავკასიაში უფლებადამცველთა მდგომარეობის გაუმჯობესება“ კოორდინატორი ორგანიზაციის „იურიდიული განათლების საზოგადოების“ და უფლებადამცველთა სამხრეთ კავკასიური ქსელის აზერბაიჯანის ადგილობრივი კოორდინატორი ორგანიზაციის მიერ.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი და შესაძლოა არ გამოხატავდეს ჩეხეთისა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინსიტროების პოზიციას

სარჩევი:

I. უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში - მიმოხილვა 2
II. უფლებადამცველთა პრობლემები 2011 წლის იანვარი - 2012 წლის ოქტომბერი 3
ა. თავდასხმისა და მუქარის ფაქტები უფლებადამცველთა წინააღმდეგ 3
უფლებადამცველი ორგანიზაციები 3
ჟურნალისტები 4
ადვოკატები 6
ბ. ბინძური კამპანია უფლებადამცველების წინააღმდეგ 7
უფლებადამცველი ორგანიზაციები 7
უფლებადამცველი ადვოკატები 9
გ. სამართლებრივი დევნა უფლებადამცველების წინააღმდეგ 9
სისხლის სამართლის სასამართლოები 9
ადმინისტრაციული დანაშაულებები და დაკავება 10
სამართლებრივი სანქციების რისკი 11
დ. უფლებადამცველების საქმიანობის სხვა შეზღუდვა 12
ციხის დებულებები 12
საქართველოს საპროცესო კოდექსები 13
უმცირესობებით დასახლებული რეგიონები 13
მედიაგარემო 14
პოლიტიკა და დემოკრატიული პროცესი 14
III. რეკომენდაციები 16

I. უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში - მიმოხილვა
2011 წლის იანვარი - 2012 წლის ოქტომბერი

ქართველი უფლებადამცველები, უმეტესწილად, თავისუფლად ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში - 2011 წლის იანვრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე - უფლებადამცველების წინააღმდეგ კვლავ დაფიქსირდა თავდასხმები და მუქარა, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინა თვეებში ზეწოლა გარკვეულწილად შემცირდა. ეს უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლების მეტ ზრუნვას საკუთარ საერთაშორისო იმიჯზე. თუმცა, ხელისუფლებას სულაც არ გამოუხატავს სურვილი და მზაობა, უფრო ეფექტურად დაეცვა ადამიანის უფლებები.

ზოგადად, წამყვანი უფლებამდაცველები, რომლებიც საქართველოს დედაქალაქში მოღვაწეობენ, უფრო მეტად არიან დაცულნი, ვინაიდან მათ მეტად მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა მედიასაშუალებებსა და საერთაშორისო ქსელებზე. თბილისის გარეთ, საქართველოს რეგიონებში მოღვაწე უფლებადამცველები კი კვლავ განიცდიან ზეწოლას და მათი უფლებები ისევ ირღვევა. რეგიონებში მსგავსი ფაქტები, ძირითადად, აღურიცხავი რჩება. ამას გარდა, საპარლამენტო არჩევნებამდე ხელისუფლება ხშირად არაადეკვატურად რეაგირებდა უფლებადარღვევებზე. სათანადო საგამოძიებო პროცედურების არარსებობა ცხადყოფდა ხელისუფლების ინტერესის ნაკლებობას, დაეცვა კანონის უზენაესობა, განსაკუთრებით - მაშინ, როცა ეს მისთვის წამგებიანი შეიძლებოდა ყოფილიყო.

უფლებადამცველი ადვოკატები, საგამოძიებო ჟურნალისტები და უმცირესობათა უფლებების დამცველები საუბრობდნენ სპეციფიკური სახის ზეწოლაზე, რამაც 2011-2012 წლებში მათი ადვოკატირების უფლება შეზღუდა. უფლებადამცველ ადვოკატებს კვლავ ექმნებოდათ სერიოზული პრობლემები სასამართლო სისტემასთან, რომელიც აშკარად კონტროლდებოდა ხელისუფლების აღმასრულებელი ფრთის მიერ და ეს უკანასკნელი ნაკლებად იყო დაინტერესებული უფლებადარღვევის ფაქტებზე რეაგირებით. დედაქალაქის გარეთ მოღვაწე საგამოძიებო ჟურნალისტები რეგიონებში ფიზიკური შეურაცხყოფისა და მუქარის მსხვერპლნი გახდნენ. უმცირესობის უფლებების დამცველები კვლავ აგრძელებდნენ რთულ ბრძოლას. საქართველოს გარკვეულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს; საქართველოს ხელისუფლება კი უმცირესობათა უფლებების დაცვას, როგორც წესი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფრთხესთან აიგივებს.

ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილება გაიზარდა 2011 და 2012 წლებში. 2011 წლის 26 მაისს სამართალდამცველებმა სასტიკად დაარბიეს პოლიტიკური ხასიათის საპროტესტო აქცია, რომლის მონაწილეთა მოთხოვნა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომა იყო; ამ ფაქტმა გავლენა იქონია უფლებადამცველთა საქმიანობაზე მთელი მომდევნო წლის განმავლობაში. 2012 წელს შეიქმნა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების კოალიცია „ქართული ოცნება“, რაც მმართველი პარტიის სერიოზული გამოწვევა გახდა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში. ხელისუფლებამ ამ გამოწვევაში აშკარად იგრძნო საფრთხე. წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შეზღუდვას, რამაც პრობლემები შექმნა უფლებადამცველებისთვის.

საქმე იმდენად გართულდა, რომ პოლიტიკურ აქტიურობასა და უფლებადაცვით საქმიანობას შორის ზღვარი დროდადრო ქრებოდა. პოლიტიკოსებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ქმედებები სიტუაციას აუარესებდა. შესაბამისად, სამოქალაქო სექტორიც პასუხისმგებელია, რომ სათანადო გავლენას ვერ ახდენდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. 2012 წელს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ წარმატებით შეძლო ამ ტენდენციასთან დაპირისპირება; ისინი გაერთიანდნენ ერთი მოწოდებით - *„ეს შენ გეხება“* და დაიწყეს

ორგანიზებული, კონსტრუქციული ადვოკატირება, რათა გავლენა მოეხდინათ კანონმდებლებზე საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებების ადვოკატირების მომავალი კვლავ გაურკვეველი რჩება. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციური პარტიების კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხა. ბევრი უფლებადამცველი მიესალმა მმართველი პარტიის დამარცხებას. მათ იმედი აქვთ, რომ ახალი მთავრობა მათ უფრო მეტად დაეხმარება უფლებადაცვით საქმიანობაში, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე უფლებადამცველი ადვოკატი ახალი პარლამენტის წევრი გახდა უმრავლესობის გუნდიდან. თუმცა, პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავ ინარჩუნებს პოლიტიკურ ძალაუფლებას და საპრეზიდენტო არჩევნები, შესაძლოა, 2013 წლის ოქტომბრამდე არ ჩატარდეს. ამას გარდა, გაურკვეველია, როგორი მიდგომები ექნება ახალ ხელისუფლებას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ან თუ შეიქმნება რეალურად დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, რომელიც შეძლებს ადამიანის უფლებების დაცვას და ყველა უფლებადამრღვევის დასჯას.

საქართველოს ახალი გამოწვევები ელოდება 2012 წლის ბოლოს. ახალი მთავრობის პირობებში არასამთავრობო უფლებადამცველ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ, გადამწყვეტი როლი შეასრულონ პოლიტიკური პროგრამის შემუშავებაში. არასამთავრობო ორგანიზაციებს მიეცათ უპრეცედენტო შესაძლებლობა, მონიტორინგი გაუწიონ და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესში, უფრო მეტად დაიცვან დემოკრატია და ადამიანის უფლებები. ახალმა ხელისუფლებამ გამოთქვა სურვილი, პოლიტიკური რეფორმები გაატაროს სამოქალაქო სექტორთან ერთად. უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი იმედს იტოვებს, რომ ახალი ხელისუფლების ლიდერები მჭიდროდ ითანამშრომლებენ უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გაითვალისწინებენ მათ რეკომენდაციებს, მათ შორის - აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილ რეკომენდაციებსაც.

II. უფლებადამცველთა პრობლემები 2011 წლის იანვარი - 2012 წლის ოქტომბერი

ა. თავდასხმისა და მუქარის ფაქტები უფლებადამცველთა წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში უფლებადამცველების წინააღმდეგ თავდასხმისა და მუქარის რამდენიმე ფაქტი მოხდა. რამდენიმე ინციდენტი დაფიქსირდა წინასაარჩევნო პერიოდშიც, როდესაც აქციებსა და საპროტესტო გამოსვლებში მონაწილე აქტიური უფლებადამცველები განსაკუთრებული სამიზნეები ხდებოდნენ.[1] ადამიანის უფლების დარღვევისას დამნაშავეები, რომლებიც ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, დაუსჯელები რჩებოდნენ. სამართალდამცველი სტრუქტურები არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას; უკეთეს შემთხვევაში, გამოძიება მიმდინარეობდა ზედაპირულად და სასჯელი აშკარად იყო მოზომილი და მიზნად ისახავდა ხელისუფლების „დადებითი რეპუტაციის შენარჩუნებას“, რომლის სურვილი იყო, საკუთარი წარმომადგენლები უკანონო ქმედებაში არ ყოფილიყვნენ მხილებულნი.

<u>უფლებადამცველი ორგანიზაციები</u>

საანგარიშო პერიოდში, უფლებადამცველებს შეექმნათ პრობლემები აქციების გამართვის დროს.

[1]ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება ბოლო დროს დაკავებული უფლებადამცველებისა და აქტივისტების თაობაზე http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15620&lang=geo

ხელისუფლებამ ვერ შეძლო აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვა და ცალკეულ შემთხვევებში ზეწოლა განახორციელა უფლებადამცველების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ ან მხარს უჭერდნენ აქციას.

> *2012 წლის 17 მაისს პოლიციამ ვერ დაიცვა ქართველი ლგბტ აქტივისტებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების მანიფესტაცია თბილისის ცენტრში, რითაც ისინი ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღეს აღნიშნავდნენ. მანიფესტაციის დაწყებისთანავე ადგილზე სპეციალურად მივლენილმა პოლიციამ გაურკვეველ ვითარებაში დატოვა ტერიტორია. მალევე, მანიფესტაციის მონაწილეებს დახვდა ადამიანთა ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები; მათ მსვლელობის მონაწილეებს გზა გადაუკეტეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, რამაც ლგბტ აქტივისტების აგრესია გამოიწვია. სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და აქციის მონაწილეებმა, უსაფრთხოების დასაცავად, საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. თუმცა, პოლიცია ადგილზე მხოლოდ პირველი ზარიდან 30 წუთის შემდეგ მივიდა. მსვლელობის ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც შეტაკების დროს ტვინის შერყევა მიიღო, დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, საიდანაც მალევე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლეს. მანიფესტაციის დაახლოებით 15-მა მონაწილემ საჩივარი შეიტანა პოლიციაში. პასუხად კი მიიღეს განმარტება, რომ ორივე აქციის მონაწილეებმა დაარღვიეს ადმინისტრაციული კანონი და თითოეული მათგანი 100 ლარით დაჯარიმდა; ამ ეტაპზე საქმე დახურულია. მანიფესტაციის ორგანიზატორებმა არ იციან, საწინააღმდეგო აქციის მონაწილეებმა საიდან შეიტყვეს დაგეგმილი მსვლელობის შესახებ, როცა ორგანიზატორებმა ამის შესახებ შეტყობინება მხოლოდ ხელისუფლებას გაუგზავნეს.[2]*

არსებობს ვარაუდი, რომ ხელისუფლება აწარმოებდა უფლებადამცველების თვალთვალს. 2011 წლის ივნისში ადამიანის უფლებათა ცენტრმა (უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის წევრი ორგანიზაცია) გაავრცელა ინფორმაცია, რომ ერთი და იმავე სახელმწიფო ნომრის მქონე სხვადასხვა მანქანა უკან დაჰყვებოდა მის თანამშრომლებს. ორგანიზაციის განცხადებით, სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლები მის ოფისებს სხვადასხვა დროს წინასწარი გაფრთხილების გარეშე ესტუმრნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ აღნიშნული განცხადების გავრცელების შემდეგ მანქანებმა თვალთვალი შეწყვიტეს და ოფისშიც არავინ მისულა სამართალდამცველი სტრუქტურებიდან.[3]

<u>ჟურნალისტები</u>

მედია შეიძლება იყოს და ხშირად არის კიდეც კრიტიკული მთავრობის მიმართ. თუმცა, პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს სირთულეებს აწყდება ზოგიერთი ჟურნალისტი, რომელიც ატარებს ჟურნალისტურ გამოძიებებს, სააშკარაოზე გამოაქვს კორუფციული გარიგებები ან ხელისუფლების წევრთა დანაშაულებრივი ქმედებები.

> *სტუდია „მონიტორი“, რომელიც ცნობილია თავისი საგამოძიებო ფილმებით ხელისუფლების კორუფციული საქმიანობის შესახებ, 2012 წლის ივლისში გაძარცვეს. ინციდენტის შედეგად სტუდიიდან დაიკარგა რამდენიმეთვიანი გამოძიების მასალები,*

---

[2] ინტერვიუ ლგბტ არასამთავრობო ორგანიაცია „იდენტობის“ წარმომადგენელთან, 2012 წლის სექტემბერი

[3] სპეციალური განცხადება. ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2011 წ. 20 ივლისი. http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=13688&lang=geo7&lang=geo და „თვალთვალი ადამიანის უფლებათა ცენტრის“ წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2011 წ. 20 ივლისი. http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=13694&lang=geo

ინტერვიუები და ვიდეომასალა. მოხდა სტუდიის საქმიანობის პარალიზება. მოპარული მასალის ნაწილი უნდა გამოეყენებინათ ფილმში, რომელიც ეხებოდა მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებულ ბიზნეს-ასოციაციებს; ამ დოკუმენტური ფილმის ჩვენება დაგეგმილი იყო ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ. პოლიციამ არ დაკითხა სტუდიის ოფისის მეზობლად მცხოვრები ადამიანები. სამართალდამცველებმა უარი განაცხადეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების კომენტირებაზე[4].

რეგიონებში მოღვაწე ჟურნალისტები უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან. იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი სამართალდამცველები ან მათი ახლობლები, ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციით უკმაყოფილონი, ემუქრებოდნენ და ზეწოლას ახდენდნენ ჟურნალისტებზე, როგორც პირადი შეხვედრების, ასევე ტელეფონზე საუბრის დროს.

გამომძიებელ ჟურნალისტს, მარი ოთარაშვილს, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას არაღიარებული სამხრეთ ოსეთის მოსაზღვრე ახალგორის რაიონიდან, რამდენჯერმე დაემუქრნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი გარემოცვის წევრები. 2011 წლის ნოემბერში, ოთარაშვილმა სტატია მოამზადა არაღიარებულ სამხრეთ ოსეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, რომელშიც აცხადებდა, რომ ქართველი ბიზნესმენი დევნილთა ჩასახლებაში ატარებდა ამ არჩევნების ოპოზიციური კანდიდატის სასარგებლო კამპანიას. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ბიზნესმენი დაემუქრა ოთარაშვილს - დაურეკა ტელეფონზე და უთხრა, რომ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ის (ბიზნესმენი) ვეღარ შეძლებდა სამხრეთ ოსეთში გადასვლას. მუქარის შემდეგ, ოთარაშვილმა გამოიძია დეტალები და აღმოაჩინა, რომ ამ ადამიანს ჰქონდა სერიოზული კავშირები და სამხრეთ ოსეთში გადასვლის პრობლემა არ ექნებოდა. 2012 წლის მარტში, ამ პიროვნებამ ხელახლა დაურეკა ოთარაშვილს ტელეფონზე, აგინა და მოკვლით დაემუქრა. ოთარაშვილს სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც ხელს არ აძლევდა ჟურნალისტის მიერ სამხრეთ ოსეთიდან მოწოდებული ინფორმაციები, კავშირში იყო აღნიშნულ პიროვნებასთან. ვინაიდან მას დაემუქრა საფრთხე, ოთარაშვილმა სარჩელი შეიტანა ბიზნესმენის წინააღმდეგ და მოითხოვა პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა[5].

2012 წლის 20 მაისს პოლიციის სამმა თანამშრომელმა ჯერ უკანონოდ დააკავეს და შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ადამიანის უფლებათა ცენტრის წევრს, ჟურნალისტ გელა მთივლიშვილს. მთივლიშვილი იღებდა თიანეთის პოლიციის შენობას რეპორტაჟის მოსამზადებლად, როდესაც სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიციელი მიუახლოვდა და მოსთხოვა დოკუმენტების წარდგენა. მთივლიშვილმა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ აღნიშნულმა პირმა თავად არ წარმოუდგინა ჟურნალისტს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. მოულოდნელად მას კიდევ ორი პოლიციელი მიუახლოვდა, რის შემდეგაც მთივლიშვილი ძალის გამოყენებით შეათრიეს პოლიციის შენობაში. უკანონო დაკავებისას, გელა მთივლიშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მას არ მისცეს საშუალება, დაერეკა ადვოკატისთვის. დაკავებიდან 40 წუთში პოლიციელებმა ის ძალის გამოყენებით გამოაგდეს პოლიციის შენობიდან. ჟურნალისტის კუთვნილი კამერა ჩადეს მის მანქანაში, რომლიდანაც უკვე წაშლილი იყო პოლიციის შენობის სურათები და დაკავების დროს ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული მიმართვა უარყოფდა გელა მთივლიშვილის განცხადებას პოლიციელების მიერ მისი ცემის შესახებ; სამინისტროს მტკიცებით, ჟურნალისტმა სამართალდამცველებს არ

[4] ადამიანის უფლებათა ცენტრი, „სტუდია „მონიტორი“ გაძარცვეს“, 2012 წ. 24 ივლისი http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=15215&lang=geo

[5] ინტერვიუ მარი ოთარაშვილთან, 2012 წლის ოქტომბერი

წარუდგინა საკუთარი თავი და შემდეგ თვითნებურად არ ტოვებდა პოლიციის შენობას, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელებმა მაშინვე გაათავისუფლეს[6].

პოლიტიკური საპროტესტო აქციების გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტებიც ძალადობის მსხვერპლი გახდნენ. ვინაიდან ქართული მედია პოლარიზებულია, ხელისუფლება ოპოზიციურად განწყობილი მედიასაშუალებების წარმომადგენლებს ოპონენტებად მიიჩნევდა. 2011 წელს, მთელი გაზაფხულის განმავლობაში მიმდინარე ოპოზიციური პარტიების საპროტესტო აქციები დაგვირგვინდა თბილისში 26 მაისის მასშტაბური აქციით; ამ დემონსტრაციის დროს მონაწილეები მოითხოვდნენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომას. საპროტესტო აქცია ძალადობრივი მეთოდით დაარბიეს. პოლიციელებმა 18 ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. რამდენიმე მათგანს კამერები დაუმტვრიეს; ზოგს განსაკუთრებულად აგრესიულად მას შემდეგ მოექცნენ, რაც გაიგეს, რომ ჟურნალისტები იყვნენ და ამის დამადასტურებელი მოწმობები ნახეს; აღნიშნული ადასტურებს, რომ პოლიცია მიზანმიმართულად იყენებდა ძალას ჟურნალისტების წინააღმდეგ[7]. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჟურნალისტებს კვლავ შეექმნათ მსგავსი პრობლემები. [8]

2012 წლის 12 ივლისს, ქალაქ გორში, კარალეთის დევნილთა დასახლებაში „ქართული ოცნების“ ლიდერების ჩასვლას ურთიერთდაპირისპირება მოჰყვა. ინციდენტის დროს დაშავდნენ ჟურნალისტებიც. „ქართული ოცნების“ დელეგაციას მალე დაუპირისპირდნენ მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები, რომლებმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მათ მხარდამჭერებს და მოსთხოვეს ტერიტორიის დატოვება. ჟურნალისტები, რომლებიც აშუქებდნენ აღნიშნულ დაპირისპირებას, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ დააკავა ორი თავდამსხმელი, ჟურნალისტების ვიდეოჩანაწერებში დაფიქსირებულები არიან სხვა დამნაშავეებიც, რომლებიც სავარაუდოდ დაკავშირებული იყვნენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და შესაბამისად, ისინი არ დაუსჯიათ[9].

<u>ადვოკატები</u>

უფლებადამცველი ადვოკატების წინააღმდეგ ზეწოლა და მუქარის ფაქტები გრძელდებოდა საანგარიშო პერიოდშიც. უპირველესი მსხვერპლნი იყვნენ ის ადვოკატები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებში წარმოადგენდნენ დაცვის მხარეს, იცავდნენ პატიმართა უფლებებს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში გაგზავნილი ჰქონდათ სარჩელები პატიმართა სახელით.

ციხის დაცვის თანამშრომლები განსაკუთრებულ ზეწოლას ახდენდნენ ადვოკატებზე. იურისტების განცხადებით, ციხის დაცვის თანამშრომლები ძალის გამოყენებით ან მუქარით ართმევდნენ საპატიმროში არსებული უფლებადარღვევის ფაქტების დამადასტურებელ

---

6 FIDH ჟურნალისტისა და უფლებადამცველის, გელა მთივლიშვილის უკანონო დაკავება და ფიზიკური შეურაცხყოფა; 12 ივნისი,2012 წელი. http://www.fidh.org/Arbitrary-detention-and-assault-of.html

7 Human Rights Watch, „მსოფლიო ანგარიში, 2012: საქართველო“, 22 იანვარი, 2012 წლის 10 11http://www.hrw.org/world-report-2012/world-report-2012-georgia და ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი „საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები გმობენ პოლიციელების ძალადობას აქციის მონაწილეების წინააღმდეგ“, 7 ივნისი, 2011 წელი, http://humanrightshouse.org/Articles/16542.html

8 აღნიშნულ ფაქტებზე სათანადო რეაქცია ჰქონდა ეუთოს წარმომადგენელს თავისუფალი მედიის საკითხებში. იხ. ეუთო-ს განცხადება: „ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში შეშფოთებულია საქართველოში ჟურნალისტების წინააღმდეგ განმეორებადი ძალადობის და ზეწოლის ფაქტების გამო“, 16 ივლისი, 2012 წ. http://www.osce.org/fom/92206

9 საია - „საია გმობს კარალეთში მომხდარ ინციდენტს“, 13 ივლისი, 2012 წ. http://gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1384%3A2012-07-13-07-14-02&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka

მტკიცებულებებს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ იუსტიციის სამინისტროში მრავალი საჩივარი შეიტანა ამ ფაქტებთან დაკავშირებით, მაგრამ მათი საჩივრები საფუძვლიანად არ გამოუძიებიათ. ადვოკატები ასევე აცხადებენ, რომ ციხის ადმინისტრაცია არასწორად აწვდიდა მათ ინფორმაციას კლიენტების ადგილსამყოფელის შესახებ, რითაც ხელი ეშლებოდათ, შეხვედროდნენ მნიშვნელოვან საქმეებზე დაპატიმრებულ ადამიანებს, რომელთა საქმეებშიც იკვეთებოდა ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტებიც. ამგვარი ქმედებების მიმართ გამეფებული დაუსჯელობის სინდრომი ცხადყოფს, რომ ამ პრაქტიკას ჰქონდა ინსტიტუციონალური ხასიათი და სანქცირებული იყო მაღალი თანამდებობის პირების მიერ.

> *2011 და 2012 წწ ადვოკატმა ირინა საღინაძემ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად, მრავალი სარჩელი შეიტანა ციხის დაცვის თანამშრომლების მიერ ძალადობრივად ჩამორთმეული საქმის მასალების გამო, რომლებიც შეიცავდნენ მტკიცებულებებს პატიმრებზე ზეწოლის შესახებ. რამდენჯერმე საღინაძეს ქსნის მე-15 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულმა მისმა ერთ-ერთმა კლიენტმა მიაწოდა მტკიცებულებები წამებისა და სხვა ზეწოლის ფაქტების დასადასტურებლად. ციხიდან გამოსვლისას, ადმინისტრაციამ საღინაძეს მოსთხოვა, ეჩვენებინა მათთვის დოკუმენტები. ამაზე ადვოკატმა უარი განუცხადა და აუხსნა მათ, რომ ადვოკატისა და კლიენტის საუბარი კონფიდენციალურია. ადმინისტრაციის წევრებმა კი მას ძალით წაართვეს დოკუმენტები. ერთ-ერთი მსგავსი ინციდენტის დროს ირინა საღინაძემ სხეულის დაზიანებაც მიიღო.*

საქართველოს პენიტენციალური სისტემა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა 2012 წლის სექტემბერში, როდესაც გავრცელდა თბილისის ერთ-ერთ ციხეში[10] თანამშრომლების მიერ პატიმრების წამებისა და შეურაცხყოფის ფაქტების ამსახველი ვიდეომასალა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა რამდენიმე მაღალჩინოსანი და პირობა დადო, რომ მოახდენდა სისტემის რეფორმას. ამის პარალელურად, მინიმუმ ციხის 18 თანამშრომლის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. თუმცა, ადვოკატების წინააღმდეგ ზეწოლა არ განხილულა და პენიტენციალურ სისტემაში მხოლოდ მცირერიცხოვანი რეფორმები გატარდა.

ბ. ბინძური კამპანია უფლებადამცველების წინააღმდეგ

<u>უფლებადამცველი ორგანიზაციები</u>

უფლებადამცველების კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ხელისუფლების წარმომადგენლების მცდელობა, მოახდინონ მათი საქმიანობის დისკრედიტაცია. მათივე მტკიცებით, ხელისუფლება ასევე ცდილობდა, დაებლოკა ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა ხელისუფლებასთან ერთობლივ პროექტებში.

> *2012 წლის ივნისში, აშშ-ს ელჩთან შეხვედრის დროს ერთ-ერთმა პარლამენტარმა ჰომოფობიაში დაადანაშაულა „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ (უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია, უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის წევრი). ამ შეხვედრის დროს მან მოახდინა ორგანიზაციის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის განცხადების ციტირება. „42-ე მუხლმა“ გაასაჩივრა აღნიშნული ფაქტი, ვინაიდან 2011 წელს ორგანიზაციის იურისტებმა საქართველოდან პირველებმა გაგზავნეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმე სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ადამიანების დისკრიმინაციის შესახებ. „42-ე მუხლს“ აქვს*

[10] თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი „შეშფოთება ქართულ ციხეებში წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით“, 2012 წლის 26 სექტემბერი. http://humanrightshouse.org/Articles/18662.html

მიზეზი, იფიქროს, რომ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც, სავარაუდოდ, ცდილობდნენ მსგავსი განცხადებებით ორგანიზაციის დისკრედიტაციას დონორ ორგანიზაციებთან კერძო შეხვედრების დროს[11].

2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) დაიწყო დამოუკიდებელი გამოძიება აქციის ერთ-ერთი მონაწილის, ნიკა კვინტრაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ოფიციალური განცხადებით, კვინტრაძის სხეული აღმოაჩინეს საპროტესტო აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობის სახურავზე. გვამის ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ის დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა. კვინტრაძის მეგობარი კი მის სიკვდილში სამართალდამცველებს ადანაშაულებდა და ამტკიცებდა, რომ აქციის ძალადობრივი მეთოდებით დაშლის შემდეგ კვინტრაძე პოლიციის განყოფილებაში და შემდეგ - ქართული ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებშიც ნახა; შესაბამისად, ამ ჩვენებით ვლინდებოდა, რომ კვინტრაძე შესაძლოა, პოლიციის განყოფილებაში გარდაცვლილიყო.[12] საიამ ტელევიზიით გავრცელებული კადრები საზღვარგარეთ სასამართლო ექსპერტიზისთვის გაგზავნა. მას მერე, რაც საიამ გაავრცელა მიღებული შედეგები[13] და განაცხადა, რომ აქციის მონაწილის სიკვდილი გამოწვეული იყო პოლიციის სისასტიკით, ერთ-ერთმა პარლამენტარმა ორგანიზაცია საჯაროდ დაადანაშაულა პოლიტიკურ მიკერძოებაში, საიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას „ფაბრიკაცია“ და „ცილისწამება“ უწოდა და მოითხოვა, ორგანიზაციას ბოდიში მოეხადა[14]. შსს ოფიციალურად აცხადებდა, რომ სურათებში სხვა ადამიანი - გიორგი ბაქრაძე იყო ასახული; მალევე გავრცელდა ინტერვიუ ბაქრაძესთან, რომელიც ადასტურებდა, რომ ფოტოსურათზე ის იყო გამოსახული.[15] ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ტელეკომპანიებმა ეს ინფორმაცია ისე გაავრცელეს, რომ საიას არ მისცეს საშუალება, საკუთარი არგუმენტები წამოეყენებინა აღნიშნულთან დაკავშირებით[16].

მედიასაშუალებებიც ახდენდნენ უფლებადამცველებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების სტიგმატიზებას.

2012 წლის ივლისში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ სამსახურიდან გაათავისუფლა მისი ერთ-ერთი თანამშრომელი ნინა ხატისკაცი და ამის მიზეზად ორგანიზაციის მენეჯმენტსა და ხატისკაცს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა დაასახელა. ოპოზიციური პარტიებისადმი ლოიალურად განწყობილი მედიასაშუალებები აღნიშნულ ფაქტს პოლიტიკურად მოტივირებულ გათავისუფლებად აცხადებდნენ და „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობილ ორგანიზაციად მოიხსენიებდნენ. უფრო მეტიც, ოპოზიციურმა ტელეკომპანიამ აჩვენა ორგანიზაციის გამგეობის საქმიანობის შესახებ მომზადებული საგამოძიებო რეპორტაჟი. ნახევარსაათიანი გადაცემა მიანიშნებდა თითქოს გამგეობის თავჯდომარეს პირდაპირი კავშირი ჰქონდა საკაშვილის ხელისუფლებასთან და შესაბამისად, მსგავსი კავშირები გავლენას ახდენდა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ადვოკატირებასა და ზოგადად

---

[11] „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, სპეციალური განცხადება. 2012 წლის 6 ივნისი: http://article42.ge/index.php?action=news_item&news_id=129&lang=geo

[12] იხილეთ შსს-ს 2011 წლის 6 სექტემბრის განცხადება: http://police.ge/index.php?m=8&newsid=2769&lng=geo

[13] ანგარიში ხელმისაწვდომია ლინკზე: http://gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1040%3A2011-09-06-10-06-18&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka

[14] Messenger.com.ge, „მმართველი პარტიის მრისხანე რეაქცია 26 მაისის ფაქტების გამოაშკარავების საპასუხოდ“, 2011 წ. 8 სექტემბერი: http://www.messenger.com.ge/issues/2438_september_8_2011/2438_gvanca.html

[15] იხ. შსს-ს განცხადება, 2011 წლის 6 სექტემბერი http://police.ge/index.php?m=8&newsid=2769&lng=geo

[16] Rustavi2.com პარლამენტარი გაბაშვილი მოითხოვს საიასგან ბოდიშის მოხდას, 2011 წლის 6 სექტემბერი: http://www.rustavi2.com/news/news_text.php?rec_start=88&rec_start_nav=11&id_news=43037&pg=1&srch_w=&im=main&srch=1&ct=0&wth=&l=0&ddd=

საქმიანობაზეც. ამის პარალელურად, გადაცემაში სრულიად იგნორირებული იყო ის ფაქტი, რომ ორგანიზაცია საკმაოდ კრიტიკულად აფასებდა ხელისუფლების საქმიანობას თავის ანგარიშებში.

<u>უფლებადამცველი ადვოკატები</u>

ხელისუფლება აქტიურად უწყობს ხელს იმ მოსაზრების გავრცელებას, რომ უფლებადამცველი ადვოკატების საქმიანობა პოლიტიკურად მოტივირებულია. ხელისუფლების წარმომადგენლებისა და იურისტების თქმით, უფლებადამცველი ადვოკატები თავიანთ კლიენტებს მხოლოდ იმის გამო იცავენ, რომ თავად არიან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრები და ხელისუფლების დისკრედიტაციას ცდილობენ. აღნიშნული ბრალდებები ისმოდა იმ ადვოკატების წინააღმდეგ, ვინც წარმოადგენს: სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულებს; ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრებს; და იმ პიროვნებებს, რომელთა კანონიერი ინტერესები ეწინააღმდეგება ხელისუფლების ინტერესებს. ამას გარდა, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრობის ბრალდება ისმოდა იმ ადვოკატების წინააღმდეგ, ვინც ადგილობრივ სასამართლოებში საკუთარი არგუმენტების წარდგენისას მიმართავს უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. იმის მტკიცება, რომ ადამიანის უფლებების ადვოკატირება პოლიტიკური ოპოზიციის უბრალო თავშესაფარია, ხელს უშლის უფლებადაცვითი საკითხების საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

გ. სამართლებრივი დევნა უფლებადამცველების წინააღმდეგ

უფლებადამცველებს, განსაკუთრებით - ადვოკატებს, ქართულ სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების გამო, ბევრის მოთმენა უწევთ. ქართულ სასამართლოებში პროკურორებს აქვთ ძლიერი გავლენა სასამართლო პროცედურებზე. პოლიციის თანამშრომლების ჩვენება ხშირად ერთადერთ მტკიცებულებად გვევლინება სისხლის სამართლის საქმეებში. ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ანგარიშის მიხედვით, რომელიც მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებზე დაყრდნობით, 2010 წელს სისხლის სამართლის საქმეების მხოლოდ 0.1%-ზე დადგა გამამართლებელი შედეგი[17]. უფრო მეტიც, ვარდების რევოლუციის შემდეგ შემოღებულმა საპროცესო შეთანხმებამ საქმეების გახსნის დროს მზარდი ხასიათი მიიღო[18]. 2011 წელს საქმეების 87,5% დასრულდა საპროცესო შეთანხმებით.[19] პრაქტიკულად, სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულები ხელს აწერენ საპროცესო შეთანხმებას, სახელმწიფო ბიუჯეტში იხდიან ფულს პატიმრობის შემცირების ან არასაპატიმრო სასჯელის სანაცვლოდ.

<u>სისხლის სამართლის სასამართლოები</u>

საანგარიშო პერიოდში უფლებადამცველები სხვადასხვა დანაშაულებში იყვნენ ბრალდებული, მაგრამ ხელისუფლება, ძირითადად, მიმართავდა ნაკლებად გამჭვირვალე ადმინისტრაციულ პროცედურებს უფლებადამცველთა დასაჭერად და დასაჯარიმებლად.

2011 წლის დასაწყისში, მაჰმადიანი მესხების საქართველოში რეპატრიაციის[20] თემაზე

[17] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ „ნულოვანი ტოლერანტობა და (თითქმის) ნულოვანი გამართლება“, 2010 წ. 30 ნოემბერი http://transparency.ge/blog/pnulovani-tolerantoba-da-titkmis-nulovani-gamartlebap

[18] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ „საპროცესო შეთანხმება საქართველოში“. გვ. 10-12, 2010 წლის 15 დეკემბერი; http://transparency.ge/post/report/saprotseso-shetankhmeba-sakartveloshi

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლო. „საქართველოს I ინსტანციის სასამართლოებში საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები (პროცენტი სულ განხილულ საქმეებში)“, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/6-saproc11.pdf

[20] ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ საქართველომ აიღო ვალდებულება, ხელი შეუწყოს საბჭოთა პერიოდის დროს, 1940-იან

მომუშავე ორგანიზაცია „ვატანის“ პრეზიდენტს, სულეიმან ბარბაქაძეს მიუსაჯეს პატიმრობა და დააჯარიმეს თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტების შედგენის ბრალდებით. „ვატანის“ საშუალებით, ბარბაქაძე ახალციხეში ყიდულობდა ქონებას, რითაც მაჰმადიან მესხებს საქართველოში დაბრუნებაში ეხმარებოდა. უფლებადამცველ ემილ ადელხანოვის განცხადებით, რომელიც აკვირდებოდა სასამართლო პროცესს, ბარბაქაძეს თაღლითობაში ბრალი არასაკმარისი მტკიცებულების საფუძველზე დასდეს. ყალბი დოკუმენტების შედგენაში მისი დადანაშაულება დაკავშირებული იყო ქონების გადაცემის დროს გადასახადების თავის არიდების მცდელობასთან, რაც საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოში. ბარბაქაძე დამნაშავედ სცნეს თაღლითობასა და დოკუმენტების გაყალბებაში და მიუსაჯეს 11-წლიანი პატიმრობა და ჯარიმა - მთლიანობაში 43 000 ლარი. მკაცრმა სასჯელმა წარმოშვა ეჭვი, რომ ბარბაქაძის წინააღმდეგ საქმე პოლიტიკური მოტივით აღიძრა. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ეს საქმე იმ კატეგორიას მიაკუთვნეს, როცა ხელისუფლება ცდილობდა, მაჰმადიანი მესხებისთვის ხელი შეეშალა საქართველოში ქონების შეძენაში[21].

2011 წლის ივლისში ოთხი ფოტორეპორტიორი დააპატიმრეს ჯაშუშობის ბრალდებით, რაც კიდევ ერთი გავრცელებული ბრალდებაა უფლებადამცველების წინააღმდეგ[22]. ფოტორეპორტიორებს ბრალი დასდეს რუსეთის სპეცსამსახურებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემაში. ფოტოგრაფებმა - ირაკლი და ნათია გედენიძემ დაკავებიდან მალევე აღიარეს დანაშაული. გიორგი აბდალაძე და ზურაბ ქურციკიძე თავს უდანაშაულოდ აცხადებდნენ. აბდალაძე ამტკიცებდა, რომ მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა 26 მაისის საპროტესტო აქციის დარბევის დროს ფოტოების გადაღების გამო. დაკავებიდან ორ კვირაში ორივე ფოტორეპორტიორმა გააფორმა საპროცესო შეთანხმება და სამწლიანი პირობითი პატიმრობით გამოვიდნენ ციხიდან; მათ აუკრძალეს საქმის დეტალებზე საუბარი. ვინაიდან საქმე განსახილველად სასამართლოში არ გადაგზავნილა, არც ერთი მტკიცებულება საჯარო არ გამხდარა. 2012 წლის სექტემბერში აბდალაძემ ინტერვიუში განაცხადა, რომ მან ზეწოლის შედეგად აღიარა დანაშაული. აბდალაძემ კვლავ განაცხადა, რომ მისი დაკავება დაკავშირებული იყო 2011 წლის მაისის საპროტესტო აქციების დროს გადაღებულ ფოტოებთან, რომლებიც გავრცელდა საზღვარგარეთ და რის გამოც საქართველოს ხელისუფლებას უხერხულობა შეექმნა[23].

<u>ადმინისტრაციული დანაშაულებები და დაკავება</u>

ხელისუფლება კვლავ აგრძელებდა ადმინისტრაციული კოდექსის გამოყენებას უფლებადაცვითი საქმიანობის ხელის შესაშლელად. უფლებადამცველებს ხშირად ბრალს სდებდნენ მსუბუქ დანაშაულებებში, როგორიცაა - საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ამ ადამიანებს 90 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას უსჯიდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ადმინისტრაციული კოდექსი აქტივისტებისა და პოლიტიკური დისიდენტების უკანონო დაკავების საშუალებას იძლევა. უფრო მეტიც,

---

წლებში საქართველოდან დეპორტირებული ნებისმიერი ადამიანის რეპატრიაციას; ასეთი ადამიანების რიცხვი შეადგენს დაახლოებით 100 000 ადამიანს, მათი უმრავლესობა კი მაჰმადიანი მესხები არიან. 2007 წ. პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ავალდებულებს საქართველოს, რომ 1940-იან წლებში დეპორტირებული ადამიანების შთამომავლებსაც მიეცეთ უფლება, დაბრუნდნენ საქართველოში. აპლიკაციების მიღების პროცესი დასრულდა 2010 წლის 1 იანვარს; სულ 5 841 აპლიკაცია შევიდა შესაბამის უწყებაში და მთლიანობაში 9 350 ადამიანმა გამოთქვა რეპატრიაციის სურვილი http://www.repatriation.ge/index.php?m=30&lng=geo

[21] ინტერვიუ ემილ ადელხანოვთან, 2012 წლის სექტემბერი;

[22] ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი, „საქართველოში ფოტორეპორტიორები დააპატიმრეს“, 2011 წლის 7 ივლისი http://humanrightshouse.org/Articles/16660.html

[23] Media.ge „გიორგი აბდალაძე ამბობს, რომ მას აღიარებითი ჩვენება დააწერინეს“, 2012 წლის 24 სექტემბერი; http://www.media.ge/stories/giorgiabdaladzeambobsrom

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ადმინისტრაციული სამართალწარმოება პატივს არ სცემს შესაბამის პროცედურებსა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას[24].

2011 წლის სექტემბერში, პოლიციამ ქუთაისში დაარბია მეტალურგიული ქარხნის მუშების კანონიერი გაფიცვა. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ არასათანადო სამუშაო პირობებს და სოლიდარობას უცხადებდნენ ადგილობრივ პროფკავშირებში გაერთიანების გამო სამსახურიდან გათავისუფლებულ კოლეგებს. პოლიციელებმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიონის გამგებელი, დააკავეს რამდენიმე მუშა. ამის შემდეგ პოლიციელები ქარხანაში ზედამხედველად მიავლინეს[25]. პოლიციის ამ შეჭრის შემდეგ, 17 სექტემბერს, პროფკავშირის სამი ლიდერი - ემილ გუმბერიძე, ირაკლი იობიძე და მალხაზ გოგიავა, რომლებიც ქარხნის მუშებს პროფკავშირებში გაერთიანებას ურჩევდნენ, დააკავეს ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში ნარკოლოგიური ტესტის ჩასატარებლად. ანალიზის შემდეგ სამივეს ბრალი წაუყენეს მხოლოდ „პოლიციის უპატივცემულობაში“ და 19 სექტემბერს მიუსაჯეს 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა[26].

2012 წლის სექტემბერში, თბილისში საპროტესტო აქციების სერია გაიმართა მას შემდეგ, რაც ინტერნეტითა და ქართული ტელეარხებით ციხეებში პატიმრების წამების ფაქტების ამსახველი ვიდეომასალები გავრცელდა. რამდენიმე აქტივისტი, რომლებიც ციხეში არსებულ წამების ფაქტებს აპროტესტებდნენ, ადმინისტრაციული კანონდარღვევისთვის დააკავეს. საპროტესტო აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორს, დაჩი ცაგურიას, 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს პოლიციელის შეურაცხყოფისა და მისი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის. ცაგურია, რომელიც ასევე ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი იყო, აცხადებდა, რომ მისი დაკავება პოლიტიკურად იყო მოტივირებული. აქციის მეორე მონაწილე, ბექარ ალადოშვილიც ცაგურიასთან ერთად დააკავეს და პატიმრობა მიუსაჯეს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებით, „ამ საქმეთა ანალიზი გვიქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მითითებულ პირთა დაკავების მიზეზი მათი პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივობა გახდა და არა რაიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენა“[27]. აქციის მონაწილეები დააკავეს ოპოზიციური პარტიების აქტივისტთა მასობრივი ადმინისტრაციული დაპატიმრებების დროს, რომლებსაც ასევე ბრალად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა წაუყენეს.

<u>სამართლებრივი სანქციების რისკი</u>

2011 წლის ბოლოს პარლამენტმა მიიღო კანანი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, რომელიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას არეგულირებს. კანონმა უპრეცენდენტო ძალაუფლება მიანიჭა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს (წარსულში - კონტროლის პალატას), რომელსაც პარტიების საქმიანობის კანონთან შესაბამისობის მონიტორინგი დაევალა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ძირითადად დააჯარიმა

[24] მაგ. გაეროს უკანონო პატიმრობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფმა განიხილა საქართველოში ადმინისტრაციული სასამართლო განხილვების გამოყენებასთან დაკავშირებული შეშფოთება. იხილეთ უკანონო პატიმრობაზე მომუშავე ჯგუფის ანგარიში: მისია საქართველოში, 2012 წ. 27 იანვარი. 63-68; ან Human Rights Watch-ის ანგარიში „ადმინისტრაციული დარღვევა: „ადმინისტრაციული დაკავების საქართველოს გაბზარული სისტემა“ 2012 წლის 5 იანვარი. http://www.hrw.org/news/2012/01/04/georgia-flawed-misdemeanor-system

[25] ქიმიკოსების, ენერგეტიკის, მემაღაროეთა და საერთო მუშების პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაცია (ICEM) „ICEM გმობს ქართველი მეტალურგების პროტესტის ჩასახშობად პოლიციის სასტიკ რეპრესიებს“, 2011 წლის 18 სექტემბერი. http://www.icem.org/en/4-Chemicals-Pharmaceuticals/4667-ICEM-Scorns-Blatant-Police-Repression-in-Putting-Down-Georgian-Metal-Strike

[26] ICEM საქართველოს პროფკავშირების ლიდერები დააკავეს ნარკო-ტესტის ჩატარების გამო, 2011 წლის 26 სექტემბერი, http://www.icem.org/en/78-ICEM-InBrief/4673-Georgian-Trade-Union-Leaders-Jailed-for-Passing-Drug-Test

[27] საია - „საია დავით ფაცაციას, დაჩი ცაგურიასა და ბექა ალადოშვილს ადმინისტრაციული დაკავების ფაქტს აპროტესტებს“ http://gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1474%3A2012-09-23-13-37-07&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang= ka

ოპოზიციური პარტიები და ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები, გაყინა მათი და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების საბანკო ანგარიშები, ზოგიერთ შემთხვევაში, უხეშად დაარღვია კანონის მოთხოვნები. ამან გამოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციების შეშფოთება, რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინიც შესაძლოა, გამხდარიყვნენ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სანქციების ობიექტები მხოლოდ იმის გამო, რომ იცავდნენ ოპოზიციური პარტიების აქტივისტთა უფლებებს[28].

დ. უფლებადამცველების საქმიანობის სხვა შეზღუდვა

გარკვეული სისტემური საკითხები ასევე აფერხებს უფლებადამცველთა საქმიანობას ციხეებში, სასამართლოში და უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ასევე - მათ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში.

ციხის დებულებები

ციხის დებულებები უფლებადამცველებს კვლავ უზღუდავდა ციხეებში შესვლისა და პატიმრების სახელით ადვოკატირების უფლებას.

ციხეების დამოუკიდებელი მონიტორინგი აიკრძალა 2007 წელს და ეს მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის უპირველეს ვალდებულად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველმა მოამზადა უამრავი ანგარიში ციხეში არსებული უკანონობის შესახებ, ხელისუფლებამ ამ ანგარიშებსა და შესაბამის რეკომენდაციებს ყურადღება არ მიაქცია. 2012 წელს 13 უფლებადამცველი არასამათავრობო ორგანიზაციისგან შემდგარი კოალიცია, რომლის წევრებიც იყვნენ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და ადამიანის უფლებათა ცენტრი (უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელის წევრები), ითხოვდა ციხეებში დამოუკიდებელი მონიტორინგის განახლებას. ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს სჯერათ, რომ დამოუკიდებელი და ალტერნატიული მონიტორინგი აუცილებელია პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად. კოალიციამ 2012 წლის 3 სექტემბერს პრეზიდენტ სააკაშვილს სთხოვა, უფლება მიეცა მათთვის, შესულიყვნენ ციხეებში, მაგრამ ამ თხოვნაზე პასუხი ვერ მიიღეს. 2012 წლის სექტემბრის ციხის ვიდეოსკანდალის შემდეგ[29] ციხეები საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა და გაიზარდა პოლიტიკური ნება, გატარებულიყო ინსტიტუციური რეფორმები. სასჯელაღსრულების მინისტრმა თავისი ზედამხედველობის ქვეშ შექმნა ციხის მონიტორინგის ახალი ჯგუფი. ამავე დროს, არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავ ითხოვდნენ მუდმივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, რომელიც სამთავრობო ინსტიტუტებიდან დამოუკიდებელი იქნებოდა.

უფლებადამცველი ორგანიზაციები ვერ იღებდნენ პატიმრების საჩივრებს ციხეში არსებული ძალადობის ფაქტების შესახებ. „პატიმრობის შესახებ“ კანონის 82-ე მუხლი ზღუდავს პატიმრების კომუნიკაციას, როცა ისინი ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფებიან. კოდექსი პატიმრებს არ უკრძალავს ადვოკატებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციას. სამაგიეროდ, უკრძალავს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონტაქტს. აღნიშნული დებულება პრაქტიკაში პატიმარს უკრძალავს, ვინმეს აცნობოს ციხეში არსებული უფლებადარღვევის

---

[28] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ - „არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება კონტროლის პალატის 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 9 თებერვალი 2012 http://transparency.ge/post/general-announcement/chamber-controls-investigation-ngni

[29] ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი, „არასამათავრობო ორგანიზაციების სპეციალური განცხადებასაქართველოს ციხეებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ“, 2012 წლის 19 სექტემბერი. http://humanrightshouse.org/Articles/18619.html

ფაქტების შესახებ. მსჯავრდებულები ხშირად ვერ აცნობიერებენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის აუცილებლობას. ამას გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციებს უჩნდებათ კითხვა, რომ პატიმრების ადვოკატები, რომლებიც ხშირად ხელისუფლების მიერ კონტროლირებად იურიდიულ სამსახურებს წარმოადგენენ, არიან თუ არა დამოუკიდებელნი ხელისუფლების გავლენისაგან.

<u>საქართველოს საპროცესო კოდექსები</u>

ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ცდილობენ, ხელი შეუშალონ უფლებადამცველებს, დაიცვან პატიმრების უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლი აღიარებს ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის კონფიდენციალობას, ციხის თანამშრომლები კითხულობენ ყველა დოკუმენტს, რაც დაცვის ადვოკატებს შეაქვთ ან გამოაქვთ ციხიდან. შესაბამისად, პატიმრები, რომლებიც საუბრობენ ძალადობაზე, ასევე - მათი ადვოკატები, ციხის ადმინისტრაციის წევრებისა და ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ ექცევიან.

უფლებადამცველების კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენდა სასამართლო პროცესების გაუმჭვირვალობა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შენობები აღჭურვილია სათანადოდ, რათა მოხდეს სასამართლო მოსმენების ჩაწერა, შესაბამის მოწყობილობას ყოველთვის არ იყენებენ, განსაკუთრებით - მაშინ, როცა იხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს. ამას გარდა, უფლებადამცველი ადვოკატები კითხვის ქვეშ აყენებენ ადგილობრივ სასამართლოებში წარმოებული სასამართლო პროცესების ჩანაწერებს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზოგიერთ საქმეზე, რომლებიც ეხებოდა ადამიანის უფლებებს, სასამართლო პროცესების ჩანაწერებს აკლდა მოსამართლეებისა და ადვოკატების განცხადებები, რაც მიანიშნებს უფლებადამცველთა წინააღმდეგ მიკერძოებულობაზე. სასამართლოს საპროცედურო რეგლამენტმა შესაძლოა, გაამწვავოს ეს პრობლემა. ამ რეგლამენტის თანახმად, სასამართლოს თანამშრომლები არ არიან ვალდებულები, სასამართლო მოსმენიდან 5 დღის ვადაში გასცენ მისი ვიდეოჩანაწერი და ოქმები. სასამართლო პროცესების ზუსტი ჩანაწერების არარსებობა პრობლემებს უქმნის უფლებადამცველ ადვოკატებს, რომლებიც ცდილობენ, სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრონ ადგილობრივ ან საერთაშორისო სასამართლოებში, ვინაიდან მათი განცხადებები უნდა ემყარებოდეს ქვედა სასამართლო ინსტანციის პროცესის ჩანაწერს.

<u>უმცირესობებით დასახლებული რეგიონები</u>

ზოგიერთი უფლებადამცველი აცხადებს, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებულ რეგიონებში მათი მუშაობა შეზღუდულია ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების განხორციელების შიშით. საქართველოს ხელისუფლებამ ამ რეგიონებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა: მოეწყო ახალი ინფრასტრუქტურა, მთავრობამ აიღო ვალდებულება, რომ გაუმჯობესდებოდა განათლების დონე და ამ რეგიონებში მცხოვრები აბიტურიენტებისთვის შეიმუშავა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების სპეციალური პროცედურა. შესაბამისად, ამ კუთხით სიტუაცია გამოსწორდა, დაძაბულობამ იკლო. ხელისუფლება კვლავ აგრძელებს ნაციონალური სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას უმცირესობების უფლებების დასაცავად. თუმცა, ვარდების რევოლუციის შემდეგ საკუთარი ძალაუფლების კონსოლიდაციის პროცესში, ხელისუფლებამ მკაცრი ზომები გაატარა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც მათი აზრით, სეპარატისტული გეგმები ჰქონდათ ან სხვა გზით მოახდინეს ადგილზე კონტროლის დაწესება. 2008 წლის რუსეთთან ომის შემდეგ სეპარატისტული შიშები განახლდა და ახალი დაძაბულობა წარმოიშვა. მაგალითად, 2010 წელს მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ (უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური

ქსელის წევრი ორგანიზაცია) ლიდერი არნოლდ სტეფანიანი გახდა ბინძური კამპანიის მსხვერპლი და მას რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დასდეს ბრალი[30].

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დაძაბულობა ჩაცხრა, პოლიტიკური აქტივისტები და უფლებადამცველები რეგიონებში კვლავ ზეწოლის სამიზნეს წარმოადგენენ. ჯავახეთის (ძირითადად ეთნიკური სომხებით დასახლებული) რეგიონის შესახებ კრიზისის ჯგუფის მიერ მომზადებულ ანგარიშში წარმოდგენილია აქტივისტებზე ზეწოლის ფაქტები, რომლებიც ამჯერად თავს იკავებენ პროტესტის გამოხატვისაგან, ვინაიდან ეშინიათ, რომ მათ აქტიურობას „ანტიქართულ“ მოძრაობად აღიქვავენ, რამაც შეიძლება ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება გამოიწვიოს[31]. გამოკითხულ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ მსგავსი დინამიკა ხელს უშლის უფლებადამცველების საქმიანობას უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. უფლებადამცველები კვლავ ხდებიან ზეწოლის მსხვერპლი, რაც საანგარიშო პერიოდამდეც ხდებოდა და თავს იკავებენ ახალ უფლებადარღვევის ფაქტებზე საუბრისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება იმ უფლებადამცველებს, რომელთა სახელებიც არაა ცნობილი საერთაშორისო წრეებში და მათ წინააღმდეგ ხელისუფლებას შეუძლია, შური იძიოს, თან ისე, რომ ამან მთავრობის საერთაშორისო იმიჯზე უარყოფითი გავლენა არც კი მოახდინოს.

<u>მედიაგარემო</u>

არსებული მედიაგარემოს გამო უფლებადამცველ ორგანიზაციებს ხალხისთვის ხმის მიწვდენა უჭირდათ. მედიასაშუალებების უმეტესობა ან ხელისუფლების ან ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერია[32]. ხელისუფლების მიმართ ლოიალური მედია არ აშუქებს უფლებადამცველების საქმიანობას. ეს მედიასაშუალებები ექსკლუზიურად იწვევდნენ მხოლოდ მთავრობის მინისტრებს ან ხელისუფლებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარების გასაკეთებლად, რაც ადამიანის უფლებების დაცვას ეხებოდა. მაგალითად, „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ დაკვირვებით, სახელისუფლებო მედიასაშუალებები ხშირად ესწრებიან ორგანიზაციის მიერ გამართულ პრესკონფერენციებს საგადასახადო კანონთან დაკავშირებით, მაგრამ არ ესწრებიან პრესკონფერენციებს, რომლებზეც განიხილება უფლებადარღვევის ფაქტები.

<u>პოლიტიკა და დემოკრატიული პროცესი</u>

პოლიტიკა და უფლებების დაცვა კვლავ იმდენად ურთიერთდამოკიდებულია, რომ ხდება უფლებადამცველების საქმიანობის დისკრედიტაცია. ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლება სწრაფად რეაგირებს უფლებადარღვევის ფაქტების დაბალანსებულ კრიტიკაზეც და აცხადებს, რომ ეს კრიტიკა პოლიტიკურად მოტივირებულია. იგი უფლებადამცველებს ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერაში ადანაშაულებს. მეორე მხრივ, უფლებადამცველების ზოგიერთი

[30] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, „2010 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში, საქართველო“ 8 აპრილი, 2011, http://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2010/eur/154425.htm

[31] საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, „საქართველო: ჯავახეთის რეგიონის ინტეგრაციის გამოწვევები,“ გვ.4 2011 წლის 23 მაისი http://www.crisisgroup.org/~/media/Files/europe/caucasus/georgia/B63%20Georgia%20--%20The%20Javakheti%20Regions%20Integration%20Challenges.pdf

[32] ამ საკითხზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის 2012 წლის წინასწარ ანგარიშში განხილულია წინასაარჩევნო და საარჩევნო მედიამიმოხილვა და ნათქვამია, რომ „მედიაგარემო მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ზოგიერთი კერძო ტელეარხის ქვეყნის შიგნით დაფარვის ზონა შეზღუდული იყო, რაც ხელს უშლიდა მოქალაქეებისთვის მრავალფეროვან ინფორმაციაზე სრულ ხელმისაწვდომობას. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედიამონიტორინგმა აჩვენა, რომ მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ახდენდა საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურად დაბალანსებულ გაშუქებას. მონიტორინგს დაქვემდებარებულ არც ერთ დანარჩენ სატელევიზიო არხს არ ჰქონია ახალი ამბების დაბალანსებული გაშუქება, რაც მათ იურიდიულ ვალდებულებას წარმოადგენს“. დასკვნის სრული ტექსტი: http://www.osce.org/ka/odihr/elections/94617

წარმომადგენელი სულაც არ თვლის აუცილებლად, გაემიჯნოს რომელიმე ოპოზიციურ პარტიას და ხშირად მონდომებულია, უფლებადარღვევის ფაქტები აღქმული იყოს როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი. ზოგჯერ ეს უფლებადამცველები იყენებენ გამაღიზიანებელ ენას ადვოკატირების დროს, რაც ხელისუფლებას უადვილებს, მათი საქმიანობა პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასოს.

უფლებადამცველების განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება გულგრილი იყო სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების მიმართ, იმის ნაცვლად, რომ საზოგადოება და სამოქალაქო სექტორი ფორმალურად მაინც ჩაერთო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მაშინ, როცა მსგავსი ქმედება ართულებს ცვლილებაზე ზემოქმედებას, სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელს სჯერა, რომ უფლებადამცველებს ასევე შეეძლოთ, გაეუმჯობესებინათ ადვოკატირება ამ ბარიერის გადასალახად. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პოზიტიური მაგალითი, როცა სამოქალაქო საზოგადოებამ გავლენა მოახდინა ცვლილებაზე; ისინი გაერთიანდნენ ერთი მოწოდების ქვეშ ხელისუფლების ყურადღების მისაქცევად და დაიწყეს მათი კონსტრუქციული კრიტიკა. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ დაიწყო კამპანია *„ეს შენ გეხება“* 2011 წლის დეკემბერში მიღებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის“ საპასუხოდ. ამ კამპანიამ შეძლო, აემაღლებინა საზოგადოებრივი ცნობიერება კანონში არსებული ქვეტექსტების შესახებ და აიძულა ხელისუფლება, გადაეხედა კანონისთვის. კანონში შეტანილ ცვლილებებში კამპანიის მოთხოვნების დიდი ნაწილი იქნა გათვალისწინებული.

კამპანიამ „ეს შენ გეხება“ გააგრძელა მნიშვნელოვანი როლის შესრულება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში. სხვა საკითხებთან ერთად, კამპანიის წევრებმა მიაღწიეს must-carry-ს შემოღებას, რამაც საშუალება მისცა საკაბელო ტელევიზიების მაყურებლებს, მიეღოთ ალტერნატიული ინფორმაცია სხვადასხვა მედიასაშუალებების დახმარებით საარჩევნო კამპანიის დროს 1 ოქტომბრის არჩევნებამდე. ამ წესების მიღებამდე ბევრი ტელეკომპანია, რომლებიც დედაქალაქის გარეთ მაუწყებლობენ, რეგიონებში მხოლოდ სახელისუფლებო არხებს აჩვენებდნენ. 2012 წლის ივლისში საქართველოს ხელისუფლებამ must-carry აამუშავა, მაგრამ მისი მოქმედების ვადა არჩევნების დღეს დასრულდა. აღსანიშნავია, რომ არჩევნების შემდეგ საკაბელო პროვაიდერებმა მაინც განაგრძეს სხვადასხვა საინფორმაციო არხების ჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ამის იურიდიული ვალდებულება აღარ ჰქონდათ[33].

[33] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „ეს შენ გეხებას“ გვერდი: http://www.esshengexeba.ge/.

III. რეკომენდაციები

უფლებადამცველთა სამხრეთკავკასიური ქსელი მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, მოუწოდოს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებს:

- დაუყოვნებლივ ჩაატაროს მიუკერძოებელი და გამჭვირვალე გამოძიება უფლებადამცველების, მათ შორის - ჟურნალისტების წინააღმდეგ თავდასხმის ფაქტებზე და აღკვეთოს დაუსჯელობის კლიმატი, რომელიც არსებობს უფლებადამცველებზე ზეწოლისა და თავდასხმის ფაქტების გარშემო;
- მოიწვიოს გაეროს და ევროსაბჭოს სპეციალური მომხსენებლები და გაითვალისწინოს მათი რეკომენდაციები;
- მხედველობაში მიიღოს საყოველთაო პერიოდული მიმოხილვის რეკომენდაციები აღნიშნული ქვეყნებისათვის;
- უზრუნველყონ უფლებადამცველებისა და ადვოკატების დასაშვებობა და ეფექტური მონაწილეობა სამთავრობო უწყებების, მათ შორის - სასამართლო სისტემის რეფორმაში.

ჩვენ მოვუწოდებთ ევროკავშირს:

- უფლებადამცველთა უფლებების შესახებ ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ცნობიერება აამაღლოს სამხრეთ კავკასიაში მოქმედი ევროკავშირის წარმომადგენლობებსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებში, უზრუნველყოს საელჩოების მიერ ამ სახელმძღვანელო პრინციპების სათანადო შესრულება, კერძოდ: მისიებისა და საელჩოების წარმომადგენლები: უნდა დაესწრონ სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამართულ ღონისძიებებს, განსაკუთრებით - რეგიონებში; დააკვირდნენ უფლებადარღვევის ფაქტებთან და უფლებადამცველებთან დაკავშირებულ სასამართლო განხილვებს; იქონიონ რეგულარი კონტაქტი ადამიანის უფლებების სხვადასხვა თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

- დაეხმაროს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებს, დაიცვან ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპები და გასცენ უფასო, მრავალჯერადი ვიზები უფლებადამცველებზე, როცა მათ დასჭირდებათ უსაფრთხო ქვეყანაში წასვლა; დაეხმაროს მათ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ადვოკატირებასა და ქსელის შექმნაშიდა გაამლიერონ უფლებადამცველების დაცვა;
- უზრუნველყოს დამოუკიდებელი უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაწილეობა ევროკავშირის წარმომადგენლებსა და სამხრეთ კავკასიის შესაბამისი ქვეყნის ხელისუფლებას შორის უფლებების თემაზე გამართულ დიალოგებში;
- ითარგმნოს აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში არსებული ადამიანის უფლებების საკითხების თემასთან დაკავშირებული ევროპარლამენტის დებულებები რუსულად და მათ მშობლიურ ენებზე, რათა მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- თვალყური ადევნოს თითოეულ ქვეყანაში შესაბამისი სამინისტროს მიერ ამ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელების პროცესს.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას:

- ისარგებლოს პოსტსაარჩევნო პერიოდის პოლიტიკური კლიმატით და უზრუნველყოს უფლებადამცველებისა და ადვოკატების მისაწვდომობა და ეფექტური ჩართულობა სახელმწიფო უწყებების რეფორმებში, მათ შორის - საკანონმდებლო რეფორმებში;
- გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგი პენიტენციალურ

სისტემაზე:„პატიმრობის შესახებ“ კანონში ცვლილებებით, რითაც დასაშვები იქნება პატიმრების მდგომარეობის დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმი;ხოლო ადმინისტრაციული კანონით გასამართლებულ პირებს მიეცეთ კომუნიკაციის უფლება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

- დაიცვას ყველა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება:
  - ციხეებში ადვოკატებს, უფლებადამცველებსა და მათ კლიენტებს შორის კონფიდენციალობის დაცვით;
  -სასამართლო განხილვების გამჭირვალობის უზრუნველყოფით, პროცესებზე საზოგადოების დასწრების გაზრდის გზით; განსაკუთრებით უზრუნველყოს ყველა სასამართლო პროცესის, მათ შორის - სისხლის სამართლის საქმეების განხილვების, აუდიო-ვიდეო ჩაწერა ისე, რომ დაცული იყოს მსხვერპლისა და მოწმეთა უფლებები;
- გადახედოს ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებას (ამჟამად ის გრძელდება 90 დღემდე), როგორც ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის სასჯელს, რათა არ მოხდეს ადამიანის უფლებების პირდაპირი ან ირიბი დარღვევა;
- საჯაროდ და არაორაზროვნად აღიაროს, რომ უმცირესობათა უფლებების დამცველები არ არიან ანტიქართველები;
- გაუგზავნოს ნათელი მესიჯი პოლიციას, რომ მან არ უნდა შეაფერხოს ჟურნალისტების საქმიანობა. სამართალდმცველი ორგანიზაციების ვალდებულებაა, დაიცვას და არ შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

რეკომენდაციები ქართველ ჟურნალისტებსა და მედიას:

- გაზარდონ საზოგადოებრივი ცნობიერება უფლებადაცვით საკითხებზე უფლებადამცველების შესახებ სამართლიანი და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდებით;
- თავი აარიდონ უფლებადაცვითი ადვოკატირების გაიგივებას პოლიტიკურად მოტივირებულ აქტივობასთან;
- გააძლიერონ ჟურნალისტიკაში მაღალი ეთიკის სტანდარტების დანერგვა საქართველოს მედიის ეთიკის ქარტიის ხელის მოწერით.